ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

ქ. თბილისში, მრევლიშვილის ქუჩის მიმდებარედ, შპს „სერვისი"-ს საკუთრებაში არსებული 1405 კვ. მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.17.02.006.164) საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" და **შპს „სერვისი"** – (შემდგომში „დამკვეთი") მოქ. **ვლადიმერ პარფენტევის** შორის, 2022 წლის 28 აპრილს გაფორმებული **№ ფმ-2/615** ხელშეკრულების და სააგენტოს ხელმძღვანელობის დავალების საფუძველზე, ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო-გეოლოგიის განყოფილების უფროსმა **თორნიკე თოლუზაშვილმა** და მოწვეულმა სპეციალისტმა **ანზორ გიორგაძემ,** 2022 წლის 6 მაისს, ადგილზე გასვლით მოახდინეს **შპს „სერვისი"**-ს საკუთრებაში არსებული **1405 კვ. მ** მიწის ნაკვეთის **(ს.კ 01.17.02.006.164)** და მიმდებარე ტერიტორიის ვიზუალური შეფასება, რის შედეგად დადგინდა შემდეგი:

შპს „სერვისი"-ს საკუთრებაში არსებული **1405** კვ. მ. მიწის ნაკვეთის **(ს.კ 01.17.02.006.164)** მიმდებარე ტერიტორია მთაგორიანი რელიეფით ხასიათდება, რომელიც მორფოლოგიურად წარმოადგენს სამხრეთ-დასავლური ექსპოზიციის 20-25^0-იანი დახრილობის მქონე ფერდობს დანაწევრებულს მშრალი ხევებით, რომელთა კალაპოტებიც ნაწილობრივ ამოვსებულია ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად. უშუალოდ ნაკვეთი მოიცავს მშრალი ხევის კალაპოტს და მის მიმდებარე ფერდოებს. ხევის ჩაჭრის სიღრმე 5-7მ-ის ფარგლებშია, ხოლო მისი ფერდოების დახრილობა 30-40^0-ის ფარგლებში ცვალებადობს.

ქ. თბილისი და უშუალოდ საკვლევი უბანი საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების რუკის მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2004 წ.) მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ზონის, სუბგანედურად დისლოცირებული სამხრეთი ქვეზონის, ასპინძა-თბილისის სექტორს.

ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია ზედა ეოცენის (P^3_2ts) ასაკის „თბილისის ნუმულიტებიანი წყების" ქანებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია საშუალო და თხელშრეებრივი, ძლიერ გამოფიტული და დანაპრალიანებული ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობით. აღნიშნული ქანების წოლის ელემენტებია: დაქ. აზიმუტი 350-355^0, ხოლო დახრის კუთხე 15^0. ქანების ასეთი წოლის ელემენტები, მშენებლობის თვალსაზრისით, ხელშემწყობ პირობებს ქმნის, ვინაიდან ფერდობის ამგები ქანები მისი დახრილობის საპირისპიროდ ეცემიან სიღრმეში. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში

ძირითადი ქანების - ქვიშაქვების და თიხების ბუნებრივი გაშიშვლებები არ ფიქსირდება, აღნიშნული ქანები გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის თიხა-თიხნაროვანი გრუნტებით, მონატეხოვანი მასალის ჩანართებით და ნაყარი გრუნტებით.

შპს „სერვისი"-ს საკუთრებაში არსებული **1405.00 კვ. მ.** ფართობის მიწის ნაკვეთის (ს/კ **01.17.02.006.164**) ფარგლებში და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და სხვა) ჩასახვა-გააქტიურების ნიშნები ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნაკვეთის ტერიტორია წარმოადგენს მშრალი ხევის კალაპოტს, აუცილებელია ზედაპირული ნაკადების (მათ შორის ქვა-წყლიანი ღვარცოფული ნაკადების) მოცილება და შესაბამისი ნაკადგამტარის მოწყობა ნაკვეთის მთელ სიგრძეზე, რომელიც უნდა დაიგეგმოს დეტალური კვლევების ჩატარების შემდგომ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზედაპირული ნაკადების გავლის კვალი ტერიტორიის შეფასების დროსაც დაფიქსირდა. ფერდობის ჩამოჭრის შემთხვევაში საჭირო იქნება მისი გამაგრება. ამჟამად ტერიტორია მდგრადია და ხასიათდება დამაკმაყოფილებელი საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით, ხოლო სამშენებლო ნორმებისა და წესების 1.02.07.87-ის მე-10 დანართის თანახმად, ნაკვეთი სირთულის მიხედვით განეკუთვნება III რთულ კატეგორიას და მისაღებია სამშენებლოდ, მხოლოდ ზემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში.



სურ. 1



სურ. 2

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ. 01.01.09) დამტკიცების შესახებ). შესაბამისად უბნის სეისმურობა უნდა განისაზღვროს 8 ბალით.

წინამდებარე დასკვნა განეკუთვნება ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების კატეგორიას და არ წარმოადგენს საფუძველს, რაიმე ტიპის მშენებლობის საწარმოებლად. მშენებლობა-პროექტირებას წინ უნდა უძღოდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით განხორციელებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევები.

გეოლოგიის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე ოთარ ქურციკიძე

შემსრულებლები:

გეოლოგიის დეპარტამენტის სტიქიური
პროცესებისა და საინჟინრო-გეოლოგიის
განყოფილების უფროსი თორნიკე თოღუზაშვილი

ამავე განყოფილების მოწვეული
სპეციალისტი ანზორ გიორგაძე

შეთანხმებულია:

გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მერაბ გაფრინდაშვილი

(საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ. 01.01.09) დამტკიცების შესახებ). შესაბამისად უბნის სეისმურობა უნდა განისაზღვროს 8 ბალით.

წინამდებარე დასკვნა განეკუთვნება ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების კატეგორიას და არ წარმოადგენს საფუძველს, რაიმე ტიპის მშენებლობის საწარმოებლად. მშენებლობა-პროექტირებას წინ უნდა უძღოდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით განხორციელებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევები.

გეოლოგიის დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე — **ოთარ ქურციკიძე**

შემსრულებლები:

გეოლოგიის დეპარტამენტის სტიქიური
პროცესებისა და საინჟინრო-გეოლოგიის
განყოფილების უფროსი — **თორნიკე თოღუზაშვილი**

ამავე განყოფილების მოწვეული
სპეციალისტი — **ანზორ გიორგაძე**

შეთანხმებულია:

გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი — **მერაბ გაფრინდაშვილი**